**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# არყნარი

არყნარი, ტყე, რომელსაც ქმნის არყი. საქართველოში გავრცელებულია მაღალ მთებში 1300–2600 მ ფარგლებში, უმთავრესად ჩრდ. და დას. კალთებზე და ძირითადად სუბალპ. ტყეებს ქმნის. **ა.** ორი ტიპისაა – სუბალპ. მეჩხერი და ტანბრეცილი. ტანბრეცილობის მიზეზი თოვლის ხანგრძლივი მექან. მოქმედებაა. საქართველოში გვხვდება ლიტვინოვის, მეჭეჭიანი, რადეს, მედვედევისა და მეგრული არყებისაგან შექმნილი **ა.** ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი თვისებების გამო **ა**-ს დიდი მნიშვნელობა აქვს.

***ს. შარაშიძე***